საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკულია იური სიმონის ძე



ი. კაკულია

კაკულია იური სიმონის ძე (17. I. 1923, ხარაგაული, – 2. III. 1997, თბილისი), რეჟისორი. საქართვ. სახალხო არტისტი (1985). 1946, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტზე, რ-იც 1952 დაამთავრა. 1953–55 იყო კულტ.- საგანმან. სასწავლებლისა და თეატრ. ინ-ტის პედაგოგი. სხვადასხვა წლებში მუშაობდა რეჟისორად, დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად ქუთაისის (1962–63, 1970–72, 1982–85), 1956–58 და 1967–68, 1979–82), ჭიათურის (1958–60), თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. (1964–67), რუსთავის (1972–75 და 1989), გორის (1975–79), ს. ახმეტელის სახ. (1986–88) და პანტომიმის (1988– 89) სახელმწ. თეატრებში. მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: სოხუმის თეატრში – ი. ჭავჭანიძის „კეთილი მეზობლები" და „მამლუქი" (1956), ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა" (1979), ლ. ტოლსტოის „კაზაკები" (1981); ქუთაისის თეატრში – ა. ყაზბეგის „განკიცხულნი" („მამის მკვლელის" მიხედვით, 1982), ს. მარშაკის „წელიწადის თორმეტი თვე" (1984); კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში – ჯ. სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში" (1964); გორის თეატრში – სოფოკლეს „ანტიგონე" (1976); ჯ. ოსბორნის „მოიხედე მრისხანების ჟამს" (1977), მ. ხეთაგურის „თეთრი პალატა" (1978), ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია" (1977); ს. ახმეტელის სახ. თეატრში – ი. ჭავჭავაძის მიხედვით „ბაზალეთისა ტბის ძირას", ბ. ბრეხტის „დედილო კურაჟი და მისი შვილები", შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი". კ-ს

რეჟისურა ხასიათდებოდა აქტიური, მაძიებლური ხასიათით. 1978 დ. კლდიაშვილის „უბედურებისა" და „მსხვერპლის" დადგმისათვის დაჯილდოვდა ა. პოპოვის სახ. მედლით, ხოლო 1979 ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიის" განხორციელებისათვის – კ. მარჯანიშვილის სახ. პრემიით. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1996).